

საქართველოს პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს არჩევნებში გამარჯვება მიუძღოცა



გიორგი მარგველაშვიდმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს არჩევნებში გამარჯვება მიუძღოცა.

“ბოლო პერიოდის განმავლობაში, ჩვენ თქვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის მომსწრენი გავხდით. მწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში თურქეთის რესპუბლიკა წარმატებული განვითარებისათვის ახალ სიმაღლეებს მიაღწევს.

საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკას მრავალრიანი მეგობრობა, ძლიერი კულტურული კავშირები და წარმატებული თანამშრომლობა აკავშირებთ. ჩვენი ერები ყოველთვის ერთად იდგნენ ახალი მიღწევების და კეთილდღეობის სადარაჯოზე.

ჩვენი მტკიცე პარტნიორობის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავების ერთობრივი ძარისხმევით მივაღწევთ არაერთ წარმატებას, ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდ წარმატებას ყველა სამომავლო საქმიანობაში, რომელსაც მეგობარი თურქი ხადხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის წამოიწყებთ”, – ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის მისადრც წერილში.

ოფიციალური მონაცემებით, თურქეთის არჩევნებში ერდოღანმა ხმების 53%-ით გაიმარჯვა.

გერმანიაში მცხოვრები თურქების ორმა მესამედმა საყოველთაო არჩევნებში ხმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს მისცა, ავსტრიაში კი გაცილებით დიდი მარჯვენებელი დაფიქსირდა – მას თურქების 70 % –მა დაუჭირა მხარი.